# ცნობის ფურცელი

I წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ოთხშაბათი, 9 მაისი № 1460

...ფასი დიდი: წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ...ებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

...ის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ...ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგო-...ობაში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

**რედაქციის კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372

ტფილისის კერძო
## ა მ ბ უ ლ ა ტ ო რ ი ა
მიხეილ გედევანიშვილისა.

...ოვებს ილებენ ყოველ დღე, კვირა უქმე-ების გარდა,

დ ი ლ ი თ:

...ი. ჯიჯიხაძე — კბილის სნეულებანი 8 — ...საათამდე.

...ილ ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და ...ბა ელექტრონით — 9 — 10 ს.

... მუღინი — ყურისა, ყელისა და ცხვირი— ...1 — 12 საათამდე.

...მ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი ...—12 საათამდე.

...ნ. შატილოვი — თვალისა 11—12 ს.

...მი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11 — 12 ს.

...ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და შინა-...—12 — 1 საათამდე.

...დ. მარკევიჩი — სალოსტაქრო — $12^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3 — 4 საათამდე.

...ლ. ბეგთაბეგოვი — სიფილისისა, კანისა და ...ესი — $1^1/_2$ — 2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

...ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი ...—6 საათამდე.

...ა. ბელოგოლოვი. — შინაგანი (სტომაქის ...ოებანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლე-...—5—6 საათზე.

... მაღალაშვილი — კვირაობით — 10—12 ს.

...ამბულატორიას აქვს საწოლი ოთახები.

...ი რჩევისა და ლარიგებისა 50 კ.; ოპე-...ბი — მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ...ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოდ.

...ესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ...შვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის ...ირ). ტელეფონი № 274. (წლ.)

...ᲐᲘᲡᲨᲘ ხუთშაბათს, 10 მაისს, ქალა-ქის თეატრში დანიშნულია

## ... ო ნ ც ე რ ტ ი
კ. ფ. გურამიშვილისა

...კიმოვის (სკრიპკა) მონაწილეობით. ...ილებითი ცნობები აფიშებში. (2—2)

### მთავრობის განკარგულებანი

**სამხედრო უწყებას**

პორუჩიკებს თოფურიას და მარგველაშვილს ებოძათ შტაბს კაპიტნობა, ხოლო შტაბს კაპიტანს ბილანაშვილს—კაპიტნობა.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან პორუჩიკი თავჯანდიერი.

**სამოქალაქო უწყებას:**

ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს საქმის მწარმოებლის თანაშემწეთ კოლეჟსკი სეკრეტარს ნიკოლაძეს ებოძა ტიტულიარნი სოვეტნიკობა, ხოლო გუბერნსკი სეკრეტარს ქუმბურიძეს კოლეჟსკი სეკრეტრობა.

ერევნის ოლქის სასამართლოს წევრს გუბერნსკი სეკრეტარს თავ. მიქელაძეს ებოძა კოლეჟსკი სოვეტნიკობა, ხოლო გორის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს კოლეჟსკი სეკრეტარს ხიმშიაშვილს—ტიტულიარნი სოვეტნიკობა;

გუმბრის პოლიციის ბოქაული ნადვორნი სოვეტნიკი ლოლობერიძე დაინიშნა ნახიჩევანის მაზრის უფროსის თანაშემწედ.

## დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

**7 მაისი.**

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.** 7 მაისს ხელმწიფე იმპერატორის დასწრებით მოხდა სადღესასწაულო სხდომა სახელმწიფო საბჭოსი მის დაარსებიდან ასი წლის შესრულების აღსანიშნავად.—7 მაისს დიდი მთავრინა ელისაბედ მავრიკიის ასული საზღვარ-გარეთ გაემგზავრა.—6 მაისს დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზ-ძე საზღვარ-გარეთ გაემგზავრა.

**ᲞᲔᲙᲘᲜᲘ.** 400—500 ჩინელს ვენაუში შეუდგენიათ ქრისტიანთა მდევნელი საზოგადოება. წარსულ კვირას ისინი დაეცნენ მკვიდრ ქრისტიანთ და ბევრი მათგანი დასჭრეს.

**ᲨᲐᲜᲰᲐᲘ.** სიანფუის რეაქციონური დასი ურჩევს დედოფალს გამოსცეს იმპერატორის სახელით ბრძანება სამეცნიერო გამოცდის გაუქმების შესახებ ხუთის წლის ვადით მთელს ჩინეთში. ამით საფუძველი წაერთმევა ერთ-ერთს სახელმწიფოს მოთხოვნილებასაო.—ბრიტანიის გემი „ვოოდოკი“ ჩუნცინფუდან სიჩუანში მოვიდა.

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ.** კაროლინიდან იტყობინებიან, რომ 4 მაისს ინგლისელ ჯარებს მეხუთედ დაუჭერიათ კაროლინა. ლუი ბოტა ერმელოში იმყოფება.

**ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘ.** ბარსელონიდან იტყობინებიან, რომ არჩევნების დროს უწესოება მომხდარა. დაჭრილები და მოკლულები არიანო. საქმე ჯერ არ გამოირკვა.

**ᲞᲔᲙᲘᲜᲘ.** ვალდერზეემ აცნობა ლიხუნჩანგს, რომ „დიდი მუშტი“ ჩინეთის მუდმივ ჯარმა დაამარცხა ჩჯენდინფუს მახლობლად. ამასთან დაემუქრა—იქ გერმანელ ჯარს გავგზავნიო.

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ.** კიტჩენერი პრეტორიიდან იტყობინება, რომ რკინის-გზის სადგურ „ამერიკის“ სამხრეთით, კრონშტადტის ჩრდილოეთისკენ, სამხედრო ჯავშნიანი მატარებელი ბურებმა ნაღმით ააფეთქესო. ინგლისელი მაიორი მოკლულ იქმნა.

**ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ.** იტყობინებიან, რომ საიმპერიო კანცლერმა მოიწვია პრუსიის, ბავარიის, საქსონიის, ვირტემბერგის, ბადენის და ჰესენის მინისტრები ბერლინში სადამოუნო საპოლიტიკო საქმეების შესახებ მოსალაპარაკებლად.

**ᲑᲣᲮᲐᲠᲔᲡᲢᲘ.** „რუმინიის სააგენტო“ უარჰყოფს ხმას, ვითომც მთავრობას მაისში კუპონების ფული არ გადაუხდია და ვითომც მთავრობას განზრახვა ჰქონდეს სხვა დროისთვის გადადვას ამ ფულის გადახდა. „ევროპის მთელმა საფინანსო საზოგადოებამ იცის, რომ ეს ფული დროზეა გადახდილი და დანარჩენი კუპონებიც თავის დროზედ იქმნება გადახდილიო“.

**ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘ.** არჩევნების შედეგი შემდეგია: არჩეულია ექვსი წევრი სამინისტრო პარტიისა, 1 კონსერვატორი და 1 საეროვნო კავშირის წევრი.

**ᲕᲔᲜᲐ.** სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელიც დღეს წარედგინება დელეგაციებს, გამოანგარიშებულია ხარჯი 357,814,966 კრონი, 78,260 კრონით მეტი, ვიდრე შარშან; ამათში გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯად აღრიცხულია 10,754,357 კრონი, ანუ 334,373 კრონით მეტი, ვიდრე შარშან; სამხედრო სამინისტროს ხარჯი ნაანგარიშევია 342,568,442 კრონი, 450,022 კრონით მეტი, ვიდრე შარშან; ამ ფულიდან 275.858,619 ჩვეულებრივი ხარჯისათვის, 2.399,447 კრონით მეტი შარშანდელზე და 20,190,103 კრონი მოულოდნელ ხარჯად, 5,149,425 კრონით ნაკლები შარშანდელზე; საზღვაო სამინისტროს ხარჯისთვის გადადებულია 30,803,200 კრონი, 2,281,540 კრონით მეტი შარშანდელზედ; ბოსნიის და ჰერცოგოვინას სამხედრო ხარჯისთვის დანიშნულია 7,367,000 კრონი.

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ.** „ტაიმსის“ დეპეშა პეკინიდან სიმართლედ აღიარებს „დეილი მეილის“ ცნობას, რომ ინგლისმა ახალი წინადადება წარადგინა საზღაურის შესახებ. კორესპონდენტი ამბობს, რომ ელჩების უკანასკნელ სხდომაზედ პიშონმა აცნადა, რომ მიიღებს ინგლისის წინადადებას თუ სხვა სახელმწიფოებიც დაეთანხმებიან მას. გერმანიას ჯერ არაფერი არ გამოუცხადებია ამის შესახებ, მაგრამ იგი მიიღებს ამ წინადადებას; აგრეთვე მოიქცევიან პატარა სახელმწიფოებიც. მხოლოდ ინგლისი და შეერთებული შტატები არიან წინაამდეგნი. გარდა ამისა ინგლისი თხოულობს, რომ ჩინეთმა ეხლავ გამოსცეს 300.000.000 ტაელის ობლიგაციები ალ-პარი, დანარჩენი ობლიგაციები კი ხუთი წლის შემდეგ.

ინგლისელებმა უარი განაცხადეს გერმანიის ექსპედიციაში პეჩილისში მონაწილეობაზე.

## ფელეტონი

**...ᲖᲛᲐᲠᲘ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲓᲘᲚᲐᲡ*)**

...მატიული პოემა იტალიელი დრამატურგის

**ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚ ᲐᲜᲜᲣᲜᲪᲘᲝᲡᲘ.**

4 სანახავი.

**ᲑᲔᲐᲢᲠᲘᲩᲔ და ᲕᲘᲠᲯᲘᲜᲘᲝ**

...ტრიჩე. (შემოდის მარჯვენა კარით, ნელ-...ოიპარება, თითქო ათვალიერებს ვისმე; ...ნ იყურება, საითაც იზაბელლა წავიდა. ... მოიწოდებს სტუმარს; დიდი აღელვება... ხმის კანკალით) ტყეში შევიდა, ...შტო ეჭირა... იქნება, თქვენი ცხე-...ნახოს და უკანვე დაბრუნდეს... გე-...ცხენი ჰიხვინებს? გაიგონეთ? (სიჩუ-...ნება დაბრუნდეს. რომ დაბრუნდეს, ... რას იზამთ, ეჩვენებით? გინდათ, ...ეხვდეთ? მზათა ხართ? ან თუ ფიქ-... მიატოვოდ ეს სამწუხარო ცდა?

...ჯინიო. (გაშტერებულია, ნაღვლიანის ...მინდა ვნახო. (სიჩუმე.)

...ტრიჩე. (ბაღში ათვალიერებს.) არ მო-...ოგჯერ რამდენიმე საათი არის ხოლ-...ეში. ერთი საყვარელი კუთხე აქვს, ...ის დროს ატარებს. იზაბელლამ მოი-... რომ მე იმისთვის მწვანე კაბა მეჩუქებინა; მეც ვაჩუქე. (სიჩუმე.) გინდათ, აქ ჩამოვსხდეთ? (სკამზე უჩვენებს, თითონ ქვაზე ჩამოჯდება.) რა მშვენიერი სუნი მოდის ყვავილებისა... იზაბელლას გამო ბევრი სუნელოვანი ყვავილი გავაძევეთ ბაღიდან. მებაღე ყურადღებით არის... არ გაგიგონიათ, როგორა მღერის ჩვენი მებაღე? მღერის და თან თვალ-ყურს ადევნებს, მაგრამ ხანდა-ხან კი გამოეპარება ხოლმე წითელი ყვავილი. თეოდოტა ამბობს, სულ გავთიბოთ ბალახიო, რომ წითელი ყვავილები არ გამოერიოსო. (სიჩუმე.) თქვენ ბევრი გაქვთ ყვავილები?

**ვირჯინიო.** ვარდები გვაქვს ბევრი.

**ბეატრიჩე.** წინად დედა თქვენს ძალიან უყვარდა ყვავილები, ეხლაც უყვარს?

**ვირჯინიო.** ეხლა მხოლოდ თავის მწუხარება უყვარს დედა-ჩემს!

**ბეატრიჩე.** კიდევ ძალიანა სწუხს?

**ვირჯინიო.** (ამოოხვრით.) როგორც პირველ დღეს!

**ბეატრიჩე.** თქვენ ხომ ჰყევხართ ნუგეშად?

**ვირჯინიო.** იმას ნუგეში არ უნდა. იმას მხოლოდ ერთი ჰსურს: მოიხაროს მძიმე მწუხარების ტვირთ ქვეშ, რომელიც ისევე ძვირფასია იმისთვის, როგორც დაკარგული შვილი!

**ბეატრიჩე.** აქ დედი თქვენის სახელს ყოველს ლოცვაში ვიხსენიებთ.

**ვირჯინიო.** ამისთვის ის დიდს მადლობას გიძღვნით.

**ბეატრიჩე.** მაშ არა გვწყევლის?

**ვირჯინიო.** თქვენ არ იცით იმისი გული!

**ბეატრიჩე.** შეგვინდო?

**ვირჯინიო.** დედა ამბობს, რომ საუკუნო კურთხევა უნდა ჰფარავდეს იმ გმირ ნაზ ქმნილებას, რომელმაც საზარელ სისხლის ღვრაშიაც დაამტკიცა თავისი სიყვარული.

**ბეატრიჩე.** მაშ იმისთვის ყველაფერი უამბიათ.

**ვირჯინიო.** დიახ.

**ბეატრიჩე.** იცის, რომ თქვენ აქა ხართ?

**ვირჯინიო.** დიახ, და მელის. დედა ჩემმა იცის, რომ იზაბელლას სანახავად წამოვედი. დედა-ჩემმა იცის, რომ არის ერთი ქმნილება, რომლისთვისაც ჯულიანო სრულებით არ მომკვდარა, ამიტომ რომ ეს ქმნილება თავისზე გრძნობს რაღაც ცოცხალს, მწველს, გამაგიჟებელს... დავიჯერო, არ გესმით? დედაჩემს საშინლად უნდა იზაბელლას ნახვა, თუმცა კარგად ესმის, რომ იმისი შეხვედრა მოჰკლავს მას, რომ პირველ ნახვაზედვე საშინლად აუძგერდება მშობლური გული!.. რომ რამე ერთობა მაინც ჰქონდეს დედაჩემს იზაბელლასთან, შორიდან მაინც ინუგეშოს მწარე მოგონებით—ამ გამოურკვეველის მიზეზით ის გადმოსახლდა იმ სახლში, რომელიც რამდენიმე წელიწადი მიტოვებული იყო. ყოველ საღამოს ავა მაღლობ ადგილზე, აქეთ იყურება და ლოცულობს... თქვენთვისაც ლოცულობს.

**ბეატრიჩე.** ჩემთვის?

**ვირჯინიო.** იმან იცის, რა მსხვერპლიც შეგიწირავთ; იცის, რომ სცხოვრობთ აქ, როგორც მონასტერში. იმას თქვენდამი მშობლური გული უცემს. მე მითხრა: „ბეატრიჩე რომ მნახავდესო!“ გახსოვთ, ერთი ორჯერ ყოფილხართ ჩვენსას?

**ბეატრიჩე.** როგორ არა, მახსოვს.

**ვირჯინიო.** როდისმე არ წამობრძანდებით ჩვენსას, რომ დედიჩემის სურვილი აღასრულოთ?

**ბეატრიჩე.** რატომ .. როდისმე. (ხმა უსუსტდება, ჰქდელავს) წამოვალ... როდისმე...

**ვირჯინიო.** მე თითონ წაგიყვანთ. ძალიან შორს არ არის. შუა გზაზე დედაჩემი დაგვხვდება. იქნება გაიღიმოს მაინც, თქვენ რომ დაგინახავთ.

**ბეატრიჩე.** კარგი, წამოვალ, როცა მეტყვით. იქნება ორი მწუხარება ერთმანერთს რომ შეხვდებიან, ერთმანეთს მიუხვდებიან და გაუღიმებენ. (სიჩუმე.) ამ ორს მწუხარებაში რომელი უფრო საზარელია? დედა-თქვენმა ის მაინც იცის, რომ იმისი შვილი მშვიდად განისვენებს საფლავში. მეცა ვხედავ, რომ ჩემი დაც საზარელ სამარეშია, ცოცხალია, თრთის, მოძრაობს და ულეველი სისხლი სწვეთავს იმის ჭრილობიდან... მე ვიცი, რომ ის ამ ქვეყანას განშორებუ-

*) „ცნობის ფურცელი“ № 1447.

ობის მიღებაზედ. ხმა არის, რომ გერმანელებმაც ამ ექსპედიციის გამართვაზედ უარი სთქვეს.

**ბერლინი.** გუშინდელს სადღესასწაულო სადილზე, რომელიც გამართა იმპერატორ ალექსანდრეს პოლკმა, პოლკოვნიკმა შენკმა დალია რუსეთის იმპერატორის სადღეგრძელო. საელჩოს წევრმა ბულაცელმა იმპერატორის ვილჰელმის სადღეგრძელო.

**პენზა.** გოროდიშჩენსკის მაზრის, სოფელ Русскій Ишимъ-ში საშინელის ქარიშხალის დროს, როდესაც გლეხები მინდვრებში იყვნენ სამუშაოდ, გაჩნდა ცეცხლი, რომელმაც იმსხვერპლა 159 გლეხის სახლ-კარი და ქონება—5 სამრევლო სახლი, სოფლის მმართველობის შენობა და რამდენიმე პურის ბეღელი; ეკკლესია და სასწავლებელი გადაარჩინეს. ზარალი 50.000 მანეთისაა.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.)

---

## ჟურნალ-გაზეთებიდან

✿ გუშინ მოკლედ გვქონდა მოყვანილი ცნობა იმის შესახებ, რომ ირლანდიური გაზეთის «აირიშ პიპლ»-ის ერთი ნომერი ირლანდიის მთავრობამ აკრძალა. ეხლა გაზეთებში უფრო დაწვრილებითაა მოყვანილი ის კამათი, რომელიც ამის გამო ინგლისის დეპუტატთა პალატაში მოხდა. გაზეთის ნომერი აღკრძალული იყო დუბლინში 26 აპრილს, ხოლო მეორე დღესვე, 27 აპრილს, ირლანდიელი დეპუტატი დილონი შეეკითხა ირლანდიის საქმეთა მინისტრს (ირლანდიის ლორდ-კანცლერს) უინდგემს, თუ რის თაობაზე და რა კანონის ძალით იყო აკრძალული ეს ნომერიო. უინდგემმა უპასუხა, რომ გაზეთის ნომერი მისი ბრძანებით იყო აკრძალული იმ აზრით, რომ ამ ნომერში გამოთქმული «ცილის წამება» მეფე ედუარდ VII მიმართ არ გავრცელებულიყო ხალხში. მაშინ დილონმა წინადადება შეიტანა, რომ პალატას ამ აღკრძალვის წინააღმდეგ პროტესტი გამოეცხადებინა; ხოლო ამ პროტესტის ნიშნად პალატის სხდომა უნდა გადადებულიყო, რადგანაც ეს აღკრძალვა იმას მოასწავებს, რომ მთავრობას ირლანდიის პრესსის თავისუფლების დათრგუნვა სწადიანო. ამბობენ,—სთქვა დილონმა,—რომ «აირიშ პიპლ»-ში ცუდად იხსენიებოდა მეფე ედუარდ VII, მაგრამ თითონ ადმინისტრაციას კი არა, სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა ეს საქმე, ესე იგი ხსენებული გაზეთის წერილი მართლა ცილსა სწამებდა მეფეს—თუ არა დილონის განცხადებას მიემხრო ირლანდიელი რედმონდიც, რომელიც ირწმუნება, რომ უინდგემმა იმიტომ აღკრძალა ეს გაზეთი, რადგანაც ამ წერილში თითონ უინდგემი რიგიანად და ღირსებისამებრ იყო შემკობილიო. როცა უინდგემი წამოდგა, რომ პასუხი მიეცა ორატორებისათვის, რამდენიმე ირლანდიელმა დეპუტატმა დაუსტვინეს,—ესეთი ამბავი, დიდი ხანია, რაც პალატაში აღარ მომხდარა. მან გამოაცხადა შემდეგი: «წერილის შინაარსი დეპეშით მაცნობეს და განკარგულება მოვახდინე, რათა ეს წერილი ხალხში აღარ გავრცელებულიყო. თუ იმ წერილში ჩემ წინააღმდეგაც ეწერა რამე, მე იმ დროს სრულებით არ ვიცოდი, მაგრამ თუნდაც მცოდნოდა, მაინც არავითარ ყურადღებას არ მივაქცევდი. რაც შეეხება მეფის შესახებ დაწერილს, უნდა გსთქვა, რომ წერილი ისე უზრდელად და ისე უსირცხვილოდ იხსენიებდა მეფეს, რომ მე ვერც კი ვბედავ, ეს ადგილები მოვიყვანო ის სიტყვები პალატის წევრებს და ინგლისის მილიონ ქვეშევრდომთ ეჩოთირებოდათ. ამისთანა შემთხვევებში არამცთუ მთავრობას, თვით კერძო პირებსაც კი უფლება აქვთ, რომ საქმეში გაერივნენ». ამის პასუხად რედმონდმა განაცხადა, რომ ეს აღკრძალული წერილი შეუნიშნავად ჩაივლიდა, ადმინისტრაციას რომ თავისი მოწყალე ყურადღება არ მიექცია და ეს დიდი აყალმაყალი არ აეტეხნაო; ხოლო ადმინისტრაციამ თავისი ქცევით პრესსის თავისუფლება დაარღვია. რედმონდის პასუხად ბალფურმა გადაწყვეტით განაცხადა, რომ «აირიშ პიპლ»-ის ნომრის დაჭერა სრულებითაც არ არღვევს ბეჭდვის თავისუფლებასაო. ამ გაზეთის წერილი, მართლაც და, რაღაცა ახირებული შინაარსისა იყო. ამ წერილში მეფის პიროვნებაა შეურაცხყოფილი; ეს ჭერილი იმდენად ურიგოა, რომ საზოგადოებრივ ზრდილობასა და ზნეს შეურაცხყოფას აყენებს. ყოველ შემთხვევაში თუ მთავრობა უსამართლოდ მოიქცა, ირლანდიელებს შეუძლიანთ კიდევ საქმეს უშველონ და სასამართლოს მიჰმართონ. ამის შემდეგ ლაპარაკის ნება მიეცა ცნობილ ლიბერალ-დეპუტატს ასკვიტს. ამან განაცხადა, რომ ის წინააღმდეგია დილონის წინადადებისა მხოლოდ იმიტომ, რომ პალატას არ შეუძლიან იმის გარჩევა, სწორედ მოიქცა მთავრობა ამ საქმეში—თუ არა, ეს სასამართლოს საქმეა და ამიტომ სასამართლოს უნდა მიჰმართონ, ხოლო მთავრობას მაინც არა აქვს უფლება, რომ რაიმე უპირატესობით ისარგებლოს.

ამის შემდეგ პალატა კენჭის ყრას შეუდგა და დილონის წინადადება უარჰყო 252 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 64. უმცირესობას ირლანდიელები შეადგენდნენ. მათვე მიემხრო რამდენიმე რადიკალიც, მათ შორის ლაბუშერი, ხოლო ლიბერალები მთავრობას მიემხრნენ.

✿ ინგლისის დეპუტატთა პალატას ამ მოკლე ხანში მსჯელობა ექნება შემდეგი წინადადების შესახებ, რომელიც წარდგენილია დეპუტატ დილონის მიერ. ამ წინადადების თანხმად დეპუტატს ნებართვის აუღებლად არ ექნება უფლება 20 წამზე მეტ ხანს ილაპარაკოს. ეს კანონი არ შეეხება მხოლოდ მინისტრებს, მინისტრად ნამყოფებს და კანონ-პროექტებისა და რეზოლიუციების ავტორებს. საინტერესოა, რომ წინადადება ხანგრძლივი ლაპარაკის აღკრძალვის თაობაზე კვლავაც ყოფილა წარმოდგენილი პალატაში; ასე, წარსული წლის მაისში ამისთანავე წინადადება მაიორ რაშმა შეიტანა, მაგრამ პალატამ უარჰყო ის 137 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 91. საყურადღებოა, რომ პალატის ოპოზიციის ლიდერი კემპბელ-ბანერმანიც ამ წინადადების მომხრე იყო.

✿ ინგლისელმა დეპუტატმა მარკჰამმა თავის საწადელს მიაღწია. ვერნერისა, ბიტის და ამხანაგობის ფინანსიურმა ფირმამ მარკჰამზე საჩივარი შეიტანა სასამართლოში. მარკჰამსაც სწორედ ეს უნდოდა. მას ჰსურს, რომ ნამდვილი უტყუარი საბუთებით დაამტკიცოს თავისი სიტყვები, რომ სამხრეთ-აფრიკის ომი ამ ფირმამ ასტეხა თავისი კერძო ინტერესების სასარგებლოდაო.

✿ ლიბერალურმა მოძრაობამ გაიღვიძა ინგლისში. ამის შესახებ «პარი ნუველ»-ის ლონდონელი კორესპონდენტი შემდეგს იწერება:

«ქალების ლიბერალური ფედერაცია ამ ჟამად ბირმინჰამშია შეკრებილი, ხოლო ბირმინჰამი ბ-ნ ჩემბერლენის თითქმის მემკვიდრეობით საარჩევნო ოლქს წარმოადგენს. პირველ სხდომაზე 692 დელეგატი ქალი დაესწრო; ეს ქალები 447 «ქალების ლიბერალურ საზოგადოების» წარმომადგენლები არიან; კრებამ პირველ სხდომაზე ერთხმად სურვილი გამოსთქვა, რომ საერთაშორისო დავები საშუალოტორო სასამართლოს მიერ სწყდებოდეს. შემდეგ კრებამ რეზოლიუცია დაადგინა, რომლითაც დაჰგმო ინგლისის ჯარების მიერ სამხრეთ აფრიკაში ჩადენილი უღივრობა. ამავე ბირმინჰამში ერთ საქალაქო დარბაზში მოხდა დიდი კრება, რომელსაც დაესწრნენ დეპუტატთა პალატის ორი წევრი რობერტსონი და კორი გრონტი. ამათ მეტად გაკიცხეს ლორდ სოლსბერის მთავრობა: «პირველად,—სთქვა რობერტსონმა, მე ომის მომხრე ვიყავი, რადგანაც მეგონა, რომ ჩვენ არ გვინდოდა არც ოქროს მადნები და არც ქვეყნების შეძენა. მაგრამ მე სულაც არ მომწონს ისეთი ომი, რომელსაც საგნად აქვს— სამხრეთ აფრიკის ორივე რესპუბლიკას დამ[oʻ]კიდებლობა წაართვას. დღეიდან მე ერთ გრ[...] საც აღარ გავიღ[...] ამ [...] სა[...] ცხვინო ომისათვის».

✿ გერმანულ გაზეთ «ჰამბურგერ ნახრიხ[ტენ]»-ში ერთი გერმანელი, რომელიც ბურების[...]ში ყოფილა საბრძოლველად, საინტერესო [ცნო]ბებს სწერს გენერალ ბოტაზე:

«ჩემ დღეში არ დამავიწყდება,—ამბობს [ავ]ტორი,—ჩემი პირველი შეხვედრა ბოტასთა[ნ...] მე მასთან გერმანელების რაზმის საქმ[ე...] მიველი. ბოტას ბანაკში 30—40 კარ[ავი] იდგა; გარშემო სძოვდნენ ხარები და ცხვრ[ები]. აქა-იქ ბურები ჩანდნენ; ამათ ან ეძინათ, ან და ფიზიკური ვარჯიშობით ერთობოდნენ. მაჩვენეს გენერლის კარავი. მიუახლოვდი, უბრალო ბრეზენტის კარავში წინ[...] ფეხს მოვკარი თვალი. გენერალს [...] ნა; გაგონილი მქონდა, რომ ბოტას ეჯავრ[ება], როცა მას ავირაობით აღვიძებენ და მოვი[ცა]. კარავთან არც დარაჯი იდგა, არც ადიუტ[ანტი] ჩანდა, ჩემზე არავინ მოახსენა გენერალს. [ბუ]რების მთავარ-სარდალი მიწაზე გაშოტილი[...]ვა ჩემ წინ და ღრმად ეძინა, ისე მაგრა ე[ძინა], რომ, როცა ერთი საათის მოლოდინის შე[მდეგ] მე ჩავახველე და გავიარ-გამოვიარე, რომ [გა]ღვიძებინა, ის არც კი დაიძრა. ბოლოს [გა]ღვიძე. ბოტა ჯერ გაჯავრდა, მაგრამ, [როცა] გაიგო ჩემი საქმე, ადგა და დამშვიდდა, თხოვნა შეასრულა, შემდეგ ნარინჯები მი[...]ზა, რომლებიც იქვე კარავში ეყარა და მკი[თხა]: «თქვენ გერმანელი ოფიცერი ხართ?»—დიახ. «მაშ შემიძლიან ეს წერილი განდოთ. ხმამაღ[ლა] წაიკითხეთ ყველა რაზმებში, რომლებშიაც ყოფნა მოგიხდებათ და სამი დღის შემდეგ უკან დამიბრუნეთ». გამომშვიდობების [დროს] ბოტამ მაგრად ჩამომართვა ხელი. წავიკ[ითხე] წერილი. ლორდი რობერტსის დაწერილი [იყო]. ლორდი სწერდა ბოტას, რომ თუ ერთი კვ[ირის] შემდეგ დაჰყრი იარაღს, მაშინ ერთბ[ად] 50,000 გირვანქა სტერლინგს მოგცემთო [და] ყოველს წელს 10,000 გირვ. სტერლ. ლევთო. რაც უპასუხა ბოტამ,—ის ყველამ[...] როცა ბურებს ეს წერილი წავუკითხე, [...] მხოლოდ ჩუმად გაკვირვების ნიშნად თავს ნევდნენ.

---

## ახალი ამბავი

✦ გუშინ კავკასიის მთავარმართებ[ელმა] თავ. გ. ს. გოლიცინმა დაათვალიერა [ტფი]ლისში მყოფი ყველა ჯარები, რომელ[ნიც] დიდუბეში იყვნენ შეგროვილნი.

---

ლია... ვიცი, რომ ჩვენ შორის მიუდგომელი უფსკრულია; მიუხედავად ამისა, იმისი ცოცხალი თვალები მიყურებენ მე, მევედრებიან, და მე კი არ შემიძლიან იმისი შველა!...

ვირჯინიო. იმედი? (მდედვარებით ერთმანეთს შესჭურებენ. ვურჯინიო წამოდგება და ტყისკენ იყურება; ბეატრიჩეც ადგება. სიჩუმე).

ბეატრიჩე. (ისევ დაჯდება). არ მოდის... დღეს იზაბელლას მწვანე კაბა აცვია და ამისათვის ყველაფერი ავიწყდება. იქნება იმისთვის ბედნიერი საათი დადგა. (ბაღში გამოჩნდება შეშლილი, მოდის წყნარად, მერე შედგება; სახეზე ფოთლების პირბადე აქვს გაკეთებული, მკლავები ბალახით შებურვილი. მოჩვენებასავით საიდუმლოდ, ფრთხილად და ჩუმად მოდის. ბეატრიჩე და ვირჯინიო ვერა ჰხედავენ).

ბეატრიჩე. რამ მოგიყვანათ ამ მონასტერში, სადაც სიგიჟე და მწუხარება ჰსუფევენ?

ვირჯინიო. გიკვირთ? ეჰ, თქვენ ვერ მიხვდებით!

ბეატრიჩე. რომ მივხვდებოდე.. (შესწყვეტავს, რა დაინახავს იზაბელლას). აგერა მოდის, მოგვიახლოვდა. (ორივენი შესცქერიან. ღრმა სიჩუმე).

5 სანახავი.

იგივე და იზაბელლა.

შეშლილი. (გაჩერდება შემოსავალში. ერთ ხელში მოტეხილი შტოს გვირგვინი უჭირავს. თვალები უცინის).

ბეატრიჩე. იზაბელლა!

იზაბელლა. მე იზაბელლა არა ვარ. (უახლოვდება.) მე არა ვარ იზაბელლა ყველა მცენარეებმა ისე მიმიღეს, როგორც ერთი იმათგანი. მე იმათ აღარ ვაშინებ... ჩვენ ყველანი ტყეში მოგელოდით თქვენა. ჩვენა ვფიქრობდით, რომ თქვენ გვერდზედ გაგვივლით ლაპარაკით თქვენს ბედნიერებაზედ. ჩვენ დიდის ამბით ვაპირებდით თქვენს დახვედრას. რად მოგვატყუილეთ? იქნება თავის დღეში აღარ ვიყვენთ ესეთი ნორჩები და საამონი... ჰა, ბეატრიჩე! რატომ არ გამოგვიარე შენის საქმროთი? (ბეატრიჩე და ვირჯინიო ერთმანეთს შესცქერიან. იზაბელლა ერთ ნაბიჯს კიდევ წასდგამს იმათკენ; გამოჩნდება სიმონეტა, რომელსაც პანფილო შეაჩერებს შესავალში. რამდენიმე წამი კარებთან დგანან, მერე სულ გადიან.) მწვანე კაბის სანაცვლოდ იზაბელლა დაჰპირდა ბეატრიჩეს ოქროს სიზმარს. ვიდრე პანფილო გვირგვინის ლექსს მღეროდა, მე სიზმარი ვნახე ფანჯარასთან: ვნახე საქმრო. ის მოდიოდა ცხენით ჩვენი ბაღისკენ. იზაბელლას გამოელვიძა, უნდოდა ეს ეამბნა დისთვის, მაგრამ ბეატრიჩემ, ეტყობა, მაოჯირიდან, რომელთანაც მთელი ღამე სტიროდა,—დაინახა თავისი საქმრო და გაჰფრინდა იმის მისაშველებლად. გაშალა სულის ფრთები. საწყალი ღუღუნა მტრედი! უმანკო გვრიტი! (ნაზად შეეხება დას ხელით, საფეთქელზედ თმას უსწორებს).

ბეატრიჩე. (მეტის-მეტად აღელვებული.) ოჰ, იზაბელლა, რეებს ამბობ?

იზაბელლა. (სტუმარს.) ერთი შემოხედეთ.. როგორ უმანკოა! თითქოს მთელი ჩვენი ოჯახის მწუხარება ამას დასწოლია თავზედაო. რაც კი რამ ძვირფასი საუნჯე გაბადიათ, მიანდეთ ამას და ნახავთ, როგორ სპეტაკად შეგინახავთ. არსად არ არის ამაზედ ანკარა წყარო, არ არის იმისთანა წმინდა ნაკადული, რომლითაც რომ ხელისა და პირის დაბანა ამაზედ უტკბესი იყოს!.. მე ამას განდობთ თქვენა. დიე, ამის შემდეგ ნუღარ იტირებს მეტს ნუღარ იტირებს, მე აღარ ვნახავ, ეგ რომ საღამობით სდგას ხოლმე მოაჯირზედ დაყრდნობილი და ყურს უგდებს ზარების წკრიალს, რის გამოც მთელი ღელე ლურჯდება და სველდება, როგორც მაგის თვალები... თქვენ ამას შორს წაიყვანთ? ძალიან შორს?

ბეატრიჩე. (რომელიც ძალიანა სწუხს, ეხვეწება.) იზაბელლა! იზაბელლა! ნუ ლაპარაკობ ეგრე! შენ არ იცი... შენ არ იცი, იზაბელლა...

იზაბელლა იზაბელლა ნუ ეებრალება! იმაზედ ნუ შესწუხდები, რომ ის მარტო დარჩება, იმას აქვს კაბა, რომელიც შენ აჩუქე და იმ კაბის წყალობით მას შეიყვარებს ყველა შენსავით ნორჩი და ნაზი ქმნილება, ბეატრიჩე! შვიდობით! (მოიკონდება გვირგვინი, რომელიც ხელში უჭირავს, აჩვენებს) ხედავ? ვიდრე მე შენთვის ვოცნებობდი ფანჯარასთან, პანფილო გვირგვინის ლექსს მღეროდა. შენ იცი ეს ლექსი?

„ვნახე ტურფა რამ უცხო გვირგვინი[...] დიახ, შენ იცი. გამომართვი, შენ[...] დავწანი მოტეხილი ტოტისაგან. უყუ[რე], ჰრილობა ჯერ კიდევ ახალია. (დადებ[ს] თავზე დაადებს გვირგვინს. მოშორდება ი[მას] მსუბუქის ნაბიჯით, თითქო ბუმბული აცვა[ს] ხზედაო. ტყისკენ აპირებს წასვლას). მშვი[დო]ბით, მშვიდობით... მე იზაბელლა აღარა [ვარ]. ხომ გამოივლით მერე ტყისკენ? ჩვენ [მო]ლოდებით, იცოდეთ, რომ მოგელოდებ[ით].

ბეატრიჩე. (შეწუხებული შესცქერის ვ[ირჯი]ნიოს. ჩამოიღებს თავიდგან გვირგვინს, რ[ომე]ლიც იატაკზე დაუვარდება; მერე შეშლილს მოუდგება, უნდა შეაჩეროს). იზაბელლა! გ[ეფი]გონე, იზაბელლა! შენ არ იცი, ვერ გ[...] ეს ის არ არის, შენ რომ ამბობ... მ[...] მოდი აქა! (ხელს მოჰკიდებს და ვირჯინიო[სთან] თან მიიყვანს, რომელიც გაქვავებულივითაა [...]) ამას ვერა სცნობ? აბა კარგად დააშტე[რდი], დააკვირდი... ვერა სცნობ? არ გახს[ოვს]? აბა სახეზე შეხედე... (შეშლილი უცბად [...]ცლის ფოთლების პირბადეს, დაიხრება უ[...]ლისკენ და დიდის ყურადღებით და გულმ[ოდგი]ნებით ათვალიერებს). ეს ვირჯინიოა... ჯინიო-ძმა...

იზაბელლა. (გაიკანკალებს; უცბად ორივე ხელს მოხვევს; უმაწვილი თვალებ[ს] ჰხუჭავს, ფერ მიხდილია, თავი გადაზნექილი [...]რავს, თითქო კვდებაო. იზაბელლა დაშტე[რებით] უყურებს; თავი მძიმედ დაუშვება იმის [მკერდ]ზე, იზაბელლა შეჰკივლებს და მიატო[ვებს]: ღმერთო! კვდება, ესეცა კვდება!.. ([...]დებს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის მთავარმართებელმა თავ. გ. ლიცინმა და მისმა მეუღლემ შესწირეს ...ისის ლიუტერანთა საქველ-მოქმედო ...დოებას 200 მანათი.

...მიწად-მოქმედების სამინისტროს გან...რებულმა კომისიამ განიხილა სამთო ...ელობის მუშების დაზღვევის წესდება, რო... შეიმუშავეს ბაქოსა და სამხრეთ-რუსე...მადნო მრეწველების წარმომადგენლე...ბვათა შორის, კომისიას გადაუწყვეტია, ...ვევ კასსებში სავალდებულო იყოს ...ილეობა როგორც მრეწველებისა, ...უშებისა. პროექტი მალე წარედგინება ...მწიფო საბჭოს.

„პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდი... გომელის მოქალაქემ პეტრე ...იმერის ძე კარპოვიჩმა, რომელმაც ...დედ დასჭრა საერო განათლების მი...რი ბოგოლეპოვი და რომელსაც პეტერ...ის სამოსამართლო პალატამ მიუსაჯა ...ლის კატორგა, განასაჩივრა პალატის ...აწყვეტილება სენატში; უკანასკნელმა ...პრილს განიხილა საქმე და სისხლ. ...თლ. დებულების 912 მუხლის ძა... უყურადღებოდ დასტოვა კარპოვი...საჩივარი“.

...იმავე გაზეთში დაბეჭდილია: „ნიკო...ზ კონსტანტინეს ძემ ლავოვსკიმ, რო...აც დაბრალდა სინოდის ობერ-პროკუ...ის კ. პ. პობედონოსცევის მოკვლის გან...ვა და რომელსაც პეტერბურგის პალა... ექვსი წლის კატორგა გადაუწყვიტა, განასაჩივრა პალატის დადგენილება; ...ომ განაჩენი 28 აპრილს ძალაში შე...“.

„პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია ...ეგი განმარტება უწმ. სინოდისაგან: „ყველ... რუსეთში უკანონოდ აგროვებენ შე...ულებას ათონის მონასტრებისათვის; ...წირულებათა მოგროვება ხდება ხოლ...ონასტრების წინამძღვართა წერილებით ...მოქმედთა მიმართ; ამგვარი საშუალე... ფულების მოგროვება ბოროტ-მოქმე...ა და უსინიდისო ექსპლოატაცია ხალ...სარწმუნოებრივს გრძნობისა. კანონი... მხოლოდ მოგროვება შემოწირულე... სინოდის მიერ გაცემულ განსაკუთრე... წიგნებით და მხოლოდ ეს შეწირუ...ანი აღწევენ ხოლმე დანიშნულებას“.

...ბაქოს მრეწველობის კრიზისის გამო ...ბელი მუშა უსაქმოდ დარჩა. „კავკაზ“-...ტყვით, ორი ათასზე მეტი მუშა—რუ...ბრუნდა ამ ჟამად რუსეთში ბაქოდან.

✦ რედაქციამ მიიღო წიგნების გამომცემელ. ქართველთა ამხ. სტამბის მუშებ შორის შეკრებილი 13 მან. 60 კ. კიევედ ქართველ სტუდენტების სასარგებლოდ. აი სია შემომწირველთა:

დ. ტატიშვილი, ი. ვასაშვილი, შ. გალუსტოვი, პ. გალუსტოვი, ტ. საყვარელიძე, ი. ხოსროშვილი, დ. ქურდოვანიძე, ნ. ლეჟავა, ი. მიქაძე, არ. დავითაშვილი, ს. ნაზაროვი, ივ. სიდერენკო, ვ. ხელაძე ი. ტერ-ასატუროვი, მ. ბრეგვაძე და ი. ფიცხელაური—ათათი შაური; გ. კალაძე, ვ. ყიფიანი, ვ. კილაძე, ნ. ქურდოვანიძე და ი. ვერსელიძე—ორ ორი აბაზი; კ. აგამოვმა 35 კ; გრ. ოგანეზოვი, ი ოსიტაშვილი, ნ. კობახიძე და ი. მჭედლიშვილი—ექვს ექვსი შაური; ს. ელბაქიძე 25 კ; ნ. ოქროპირიძე. ალ. ლაშქაროვი, კ. ხარატოვი, ყ. ჯაში, ს. ფარსადანოვი, ს. აირაპეტოვი, ვ. გერმანიძე, ი. რუსიევი და ქურდოვანიძე—თითო აბაზი.

წინანდელი იყო 17 მ. 50 კ; ამით არის სულ 31 მან. 10 კ;

✦ ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში სწავლა ისევ დაიწყო; ეგზამენებიც დანიშნულია, რომლებიც მოხდება სახალხო სკოლების დირექციის ზედამხედველობით.

✦ ივნისში ქალ. ტფილისში გაიხსნება პედაგოგიური კურსები ქართლ-კახეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის.

✦ ამ თვის ბოლოს ტფილისის ვაჭრობისა და მანუფაქტურის კომიტეტი მოიწვევს იმ პირთ, რომელთაც განუზრახავთ ტფილისის ნოქრების საურთიერთო დახმარების საზოგადოების დაარსება. იმ დღიდან საზოგადოების მოქმედებაც დაიწყება.

✦ გუშინ დასრულდა ხელის-მოწერა ტფილისის ქალაქის მესამე საობლიგაციო სესხის ნაწილზე. 200 ათას მანეთის მაგიერ მოაწერეს 250 ათასი მანეთის ობლიგაციებზე.

✦ ფირმის „სპიროს“ წარმომადგენელმა წარუდგინ ტფ. ქალაქის გამგეობას წინადადება, რომ ის საცდელად გაანათებს გოლოვინის პროსპექტს, მიხეილის ქუჩასა და ვერის ხიდს „ვაშინგტონის“ სისტემის ფანრებით მომავალ გამოფენის დროს, თუ ქალაქი თავის თავზე მიიღებს ხარჯის ნახევარს; სულ ეს განათება ფირმას დაუჯდება 6500 მანეთი.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად ნამყოფი კ. პ. იანოვსკი აძ ჟამად გორში იმყოფება და ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა.

✦ გზათა სამინისტროს გადაუწყვეტია გადააკეთოს და გააფართოვოს პროგრამა სარკინიგზო სასწავლებლებისა. ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულთ შეუძლიანთ იყვნენ არა-თუ მემანქანეებათ, არამედ საკომერციო განყოფილების აგენტებადაც.

✦ ხუთშაბათს, 10 მაისს, ქ. ქუთაისში გაიმართება კონცერტი მომღერალ-ქალის კნ. კდ. ფ. გურამიშვილისა. ტფილისში კნ. გურამიშვილისამ დაიმსახურა სახელი საუკეთესო მომღერალისა; მისი მშვენიერი ცქრიალა ხმა (კოლორატურული სოპრანო) კარგად ცნობილია ქართველ საზოგადოებაში, რომელსაც რამოდენიმე-ჯერ შემთხვევა ჰქონდა დამტკბარიყო მისი ტკბილის ხმით, როგორც თვით კნ. გურამიშვილის საკუთარ კონცერტში, აგრეთვე „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გამართულ კონცერტებში.

მომღერალს მშვენიერი მუსიკალური სწავლა აქვს მიღებული: რამდენიმე წელიწადს მას უსწავლია ვენის კონსერვატორიის დირექტორის ხელმძღვანელობით და ოპერის რეპერტუარი შეუსწავლია; შემდეგ-კი მან ორი წელიწადი დაჰყო პარიზში, სადაც ცნობილ მომღერალ ქალებთან—ქ-ნ მარკეზის და ქ-ნ არტოს ხელმძღვანელობით საკუთრივ საკონცერტო რეპერტუარი შეისწავლა. ქუთაისიდან კნ. გურამიშვილისა მიდის ბათუმს, სადაც აპირებს ერთის კონცერტის გამართვას.

✦ გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობაზე დაარსებულს ბიბლიოთეკას დაარსებიდან შემოსვლია 4860 მან. 84 კ., დაუხარჯავს 3393 მ. 47 კ. ბიბლიოთეკაში ყოველდღე მოსიარულეთა რიცხვი 25—100-მდე იყო.

✦ საქართველოს ეგზარხოსი ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე, „კავკაზ“-ის სიტყვით, 26 მაისიდან აპირებს ეკკლესიების დათვალიერებას გორის მაზრაში. 26 მაისს ყოვლად უსამღვდელოესი ინახულებს ეკკლესიებს კასპში, სამთავისში, ქვემოჭალაში და საკორინთლოში; 27-ს—ლამის ყანაში, თეზში, ოკამში და ქსოვრიში, 28-ს—ხურვალეთში, ბერშუეთში, კირბალში, მეჯვრის-ხევში, ზერტში, ხელთუბანში, სვენეთში და ქალაქ გორში; 29-ს—კარალეთში, კიცნისში, ტყვიავში, ტირძნისში და ფლავში; 30-ს—დიცში, არბოში, ერ ვტში და ვანათში; 31-ს—ორტევში, ზალდაში, კემერტაში, მსხლებში და ჯავაში; 1-ლ ივნისს—კურტაში, დღვრისში, თამარაშენში, ცხინვალში და ზემო-ნიქოზში; 2 ივნისს—ზემო-ხვითში, დირბში, ბრეთში, საღოლაშენში, რუისში და ურბნისში; ამის შემდეგ ყოვლად-უსამღვდელოესი ტფილისში დაბრუნდება.

✦ ახალციხიდან გვატყობინებენ, რომ იქაურს საქალაქო მმართველობას შუამდგომლობა აღუძრავს, რომ ჯარებისთვის სადგომების მიჩენის მაგივრად მცხოვრებთ გაეწეროს გარდასახადი ფულად.

✦ წინა წლების მიხედვით, გზათა სამინისტრო წელსაც აპირებს შავი-ზღვისა და კასპის ზღვის ნავთ-სადგურების შესწავლა-გამოკვლევას. სამუშაოს გამგეთ დაინიშნენ: ინჟენერი პელი-—შავი-ზღვისათვის, ინჟ. ბარინსკი—კასპის ზღვისათვის.

✦ პარასკევს, 11 მაისს, ტფილისის ოლქის სასამართლო განიხილავს საქმეს ხეჩო თანდილაშვილისას, რომელსაც კაცის მოკვლა ჰბრალდება.

✦ 7 მაისს, საღამოს 8 საათზე, ორთაჭალის ხიდთან სოფ. ყარაჯალის გზაზე ნავთლუღის მცხოვრებს რაზმაძეს თავს დაეცა ვიღაცა თათარი და გაძარცვა მოუნდომა; მათ შორის მოხდა ჩხუბი, რომლის დროსაც თათარმა ხანჯლით დასჭრა რაზმაძე თავში და მუცელში. ამ დროს მათ წამოეწივნენ ბაღები და თათარი გაიქცა. მძიმედ დაჭრილი რაზმაძე ნავთლუღის სააგადმყოფოში მიიყვანეს.

✦ პოლიციის და ქალაქის გამგეობის დადგენილებით, უნდა გამოიყვანონ მდგმურები კრასნიანსკის სახლიდან ანდრევის ქუჩაზე და ოქოევის სახლიდან ელისაბედის ქუჩაზე, რადგანაც ეს სახლები მეტად დაძველებულია და შიშია, რომ არ დაინგრეს.

## ქალაქის საბჭო

7 მაისი.

ორშაბათს, 7 მაისს, ქალაქის საბჭომ 19 საქმიდან მოასწრო 9 საქმის განხილვა. ვიდრე მორიგ საქმეების განხილვას შეუდგებოდნენ, ხმოს. თაიროვი შეეკითხა გამგეობას, თუ რა მდგომარეობაშია ტფილისის ცეცხლის მქრობელ რაზმის სადგომის საქმე.

თავ. ვ. ჩერქეზიშვილი. ეს საკითხი, თანახმად საბჭოს დადგენილებისა, გადაეცა განსაკუთრებულ კომისიას შესამუშავებლად, და ჯერ არ წარმოუდგენიათ.

ხმ. ალიბეგოვი. (თამჯ. ამ კომისიისა) საქმე შეგვიგვიანდა იმის გამო, რომ, რამდენი არ ვეცადე, კომისიის წევრებს თავი ვერ მოვუყარე.

...ატრიჩე. არა, არა! ვერა ხედავ? შე...!

...ზაბელლა. კიდევ ვიგრძენი სიკვდილის ...

...ატრიჩე. არა, არა, კარგად შეხედე! ხედავ? აი, შენ წინა სდგას, უყურე!

...ზაბელლა. (შიშით). ვინა? ვინა სდგას? ...იანო? ვინა სდგას ჩემ წინ?

...ატრიჩე. ძმა... ვირჯინიო.. ვერა ...ბ? აი, ეს არის, დააცქერდი კარგად...

...ზაბელლა. ძმა? რისთვის მოსულა ძმა, ...ვის? (მეტად შეშინებული თვალს გაუშ...ებს. უკან დაიხევს, იგდებს ბალახს, რო...ც მკლავებზე შემოხვეული ჰქონდა, ზედ ...ქრის; თავის თავს იშინჯავს, თითქო სად...ე სისხლსა გრძნობს. უცბად ძალიან სა...). რისთვის მოვიდა? იმის წაყვანა ...? უნდა წამართვას? ხელიდგან გა...ლიჯოს? თავის დედას უნდა წაუ...? თავის დედასთან ესე უსისხლო ... წაიღოს? იმას ხომ ერთი ცვარი ...იც არა აქვს! მთელი იმისი სის... მე ვარ შეღებილი! შემოხედეთ ჩემს ...ებს, გულს, თმას... იმის სისხლში ვცუ...ი,.. მაგრამ იმისი დედა ნუ დამწყევ... ნუ შემაჩვენებს.. უთხარით, გთხოვთ, ...დამწყევლის! უამბეთ, როგორც მოვეპ...ი იმის მომაკვდავ შვილს! მე ის არ ...ოვეზია! მე ხომ დანაშაული არა ვარ, ... მახვილმა ჩემი გულიც არ გააპო... ...რით, სთხოვეთ, ამის გულისთვის ნუ ...ყევლის!.. ერთი საათის განმავლობაში ათასჯერ მოვკვდი! მთელი ჩემი სხეული ერთი საზარელი ჭრილობაა. ძარღვებში ერთი წვეთი სისხლიც არ მიდგა. მე ცოცხალი არ ვარ. უთხარით დედას, რომ მე არა ვარ ცოცხალი! უთხარით, რომ იმის შვილს სიკვდილი არ უგრძვნია, რომ ჩემს მკერდზედ ნეტარებით დაიძინა.. მაგრამ მე ვნახე იმისი ტანჯვა; გულიდგან ამოდენილი იმისი სისხლი ზედ გადმომდიოდა, მახრჩობდა; თმები სულ დამისველა სისხლმა... გულზედ დამდიოდა... სისხლის მორევში ვიხრჩობოდი... ბოლმა მომაწვა, მაგრამ თავს ვიკავებდი, ხმას არ ვიღებდი, რომ არავის არ გაეგო ეს ამბავი, არ წაერთმიათ იგი ჩემთვის; ხელიდგან არ გამოეგლიჯათ და არ ჩაედოთ საფლავში... უთხარით იმის დედას, როგორ თავს ვევლებოდი იმის შვილს! სთხოვეთ, რომ არ მწყევლიდეს! როდესაც შევატყე, რომ სითბო შორდება იმის სხეულს, უფრო მივიკარი გულში, მაგრა ჩავიხუტე, ხელები მოვხვიე და თან ვგრძნობდი, რომ თან-და-თან იყინებოდა ჩემ გულზედ... მინდოდა გამეთბო, გამეცოცხლებინა, მაგრამ ვერა გავაწყე რა... ის მძიმდებოდა, როგორც ქვა ანუ რკინა, რომლებიც არასოდეს არ გაცოცხლდებიან! არასოდეს! არასოდეს!... (მუხლები უკანკალებს, წაიქცევა. ბეატრიჩე, რომელიც თვალებზედ ხელმიფარებული იდგა, გაექანება დისკენ და შველის ადგომას. თეოდოტა, რომელიც გამოჩნდება ჩუმად მოძტირალი, მივარდება იზაბელლას და ადგომას შველის. შეშლილს მუდარით გაუწვდის ვირჯინიოსაკენ ხელები. ზარ-დაცემულ ვირჯინიოს არც განძრევა და არც ლაპარაკი არ შეუძლიან.) ესე უთხარით დედას, უთხარით უთუოდ—სთხოვეთ, არ დამწყევლოს!.. მეც იმასთან ერთად ჩამაწვინეთ კუბოში, ერთად დაგვმარხეთ; მე ცოცხალი არა ვარ. (უცბად ხელს გააშვებინებს ბეატრიჩეს და თეოდოტას.) არა, არა! თავი დამანებეთ! ამათ უნდათ, წყალზედ წამიღონ!.. არა მსურს, არ მინდა, არა. თავი დამანებეთ. ესე მინდა ვიყო! დეე, იმისმა დედამ მნახოს ასე, როგორცა ვარ... დამარხული... (გვერდზედ გადაწვება და ლოუას მიწას შეახებს). მე მკვდარი ვარ...

6 ს ა ნ ა ხ ა ვ ი.

იგინივე და ექიმი.

(ექიმი შემოდის მარცხენა კარით, ქალებს ანიშნებს მოშორდნენ შეშლილს. ვირჯინიოს ნელა მიიყვანს სკამთან, რომელზედაც ისა და ბეატრიჩე ისხდნენ. ვირჯინიო დაჯდება და ხელებს მიიფარებს თვალებზე. ბეატრიჩე იმასთან მივა. ექიმი შეშლილს დაჰყურებს, რომელსაც თითქო დაეძინა. ხელს ახლებს. იზაბელლა გაიღვიძებს და თითქო არაფერი არ ახსოვს პირი ეღრიხება, თითქო უბები სტკავათ. შეშლილი ოდნავ იშინჯავს სათვეთქლებს, ლოყებს, ტუჩებს.)

ექიმი (დაიხრება შეშლილისაკენ.) გეძინებოდათ? მერე აქ რათა? თეთრი პეპელა გაფრინდა ტყისაკენ... გახსოვთ, წელან რომ მითხარით, რომ ხეებ ქვეშ გინდათ წოლა? ბალახებთან შეერთება? გინდათ, მე წაგიყვანთ იქა? რა მშვიდად დაიძინებთ ამ კაბით იმ ნორჩ ფოთლებ ქვეშ!.. გინდათ, იქ წაგიყვანოთ?

იზაბელლა. (აქეთ-იქით იყურება გაკვირებით.) ჰო, დიახ... იქ.. იქ.. დავიძინებ.. ნორჩ ფოთლებთან... (თეოდოტა მეტი მწუხარებით მოხრილი ჩუმად გავა. ბეატრიჩე ააყენებს ვირჯინიოს და მიდიან კარებისკენ. ვირჯინიო მოიხედავს, რომ კიდევ დაინახოს დაჩოქილი იზაბელლა, შემდეგ გადის. ღრმა სიჩუმეა).

ექიმი. აბა მომეცით ხელი. (ხელებს უშვერს, რომ ზეზე წამოაყენოს).

იზაბელლა. ღონე სულ არა მაქვს, ექიმო! დამაცადეთ, ღვთის გულისათვის, დამაცადეთ!.. მგონია, წელან იქ ვიყავი... ბაღახი ვიყავი... ვიღამაც ფეხით გამსრისა. რასაკვირველია, ვიღამაც გამსრისა... დამაცადეთ, ექიმო, თქვენი ჭირიმე, იქნება მე თითონ ავდგე. (აქეთ-იქით იყურება და ერთ ხეს მიაჩერდება). შეხედეთ, ექიმო, იმ ხეს რამდენი ფუტკარი ეხვევა გარს. ისინი თაფლს აგროვებენ და უცდიან, როდის გაიშლება ყვავილები... ისეთი მინდა თაფლი, რომ... (ათვალიერებს და დაინახავს ფოთლების პირბადეს და გვირგვინს). ეს ფურცლები? ეს გვირგვინი? (თითქო გონებაზე მოსული). ბეატრიჩე? სად არის ბეატრიჩე? (შეშლილი ხელს მოისვამს სათვეთქლებზე, ლოყებზე, ტუჩებზე. ცოცვით მისწვდება გვირგვინს, აიღებს, იღიმება სუსტის ბავშვურის ღიმილით და თან ჩურჩულებს:)

„ვნახევი ტურფა უცხო გვირგვინი“....

ფ ა რ დ ა.

ა. ცაგარელი.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. მგონი, აღარ უნდა ახსოვდეს ბ-ნ ალიბეგოვს საქმის გარემოება, როცა აგრე ლაპარაკობს; მასალა უკვე მზადაა ამ საქმისათვის, ხოლო, როგორც მიღებულია, მოხსენება თვით თავმჯდომარეს უნდა შეედგინა და წარმოედგინა განსახილველად.

ქალაქის მოურავი. ვიდრე მორიგის საქმეების განხილვას შეუდგებით, ორი სათხოვარი საქმე მაქვს საბჭოსთან და იმედია შეიწყნარებთ. ერთი, გთხოვთ სხდომის გათავებამდე ნუ წახვალთ საბჭოდან, რომ შეძლება გვექნეს საქმეების განხილვისა, და მეორე, რადგანაც ორშაბათს, 14 მაისს, უქმეა და ბევრმა საქმეებმა კი მოიყარა თავი, ამიტომ გთხოვთ, გინდ ამ კვირაში და გინდ მომავალში, ერთი დღე დანიშნოთ საბჭოს სხდომისათვის. საბჭომ დაადგინა სხდომა დაინიშნოს სამშაბათს, 15 მაისს.

შემდეგ თავ. ჩერქეზიშვილმა წარუდგინა საბჭოს ტფილისის დედათა მეორე გიმნაზიის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ვიდრე გიმნაზიისათვის დაწყებულ შენობას დაამთავრებდნენ, ქალაქმა უფასოდ დაუთმოს წყალი. გამგეობას შესაძლებლად უცვნია ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

ხმ. თაიროვი. რამდენი ღარიბი მცხოვრებია ქალაქში და მათ ვახდევინებთ წყლის ფასს და მაგისთანა დაწესებულებებს რა უშავს, რომ მუქთად წყალი არ მივცეთ.

ხმ. ა. ბაბოვი ამბობს, რომ ფასი შეუმციროთო. საბჭომ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა დაკმაყოფილებულ იქმნეს გიმნაზიის შუამდგომლობა, ხოლო თვალ ყური ადევნოს ვისიც ჯერ არს წყალი ზომიერად იქმნეს მოხმარებული.

27 ხმით, წინააღმდეგ ორისა, ამორჩეულ იქმნა ა. ს. ბაბოვი კავკასიის გამოფენის გამგე კომიტეტის წევრად, ნაცვლად ე. ს. ბაბოვისა, რომელმაც უარი განაცხადა ამ თანამდებობაზე.

ქალაქის სამხედრო საქმეთა საკრებულოს ორ წევრად და მათ კანდიდატებად დატოვებულ იქმნენ ისინივე, ვინც ეხლა არიან.

ხმოსანთა შორის მცირე კამათი გამოიწვია ხმ. ა. ბაბოვის განცხადებამ—ტფილისის საარტისტო საზოგადოების შენობის შესავალთან გოლოვინის პროსპექტზედ გამართულ ფარდულის შესახებ. ხმ. ბაბოვმა განაცხადა, რომ მიზნად ჩემს მოხსენებას ის აქვს, რომ ამიერიდან მაინც აღარ მიეცეს ვისმეს ნება ასეთი ფარდულების გამართვისა, რადგანაც ამითი ირღვევა ქალაქის გამგეობის სამშენებლო განგანყოფილების საავალდებულო დადგენილობანი. საბჭომ, თანახმად თავ. ნ. ვ. არგუთინსკი-დოლგორუკოვის განცხადებისა, დაადგინა, რომ ამისთანა შემთხვევებში ქალაქის გამგეობამ საბჭოს დაუკითხავად არავის მისცეს ნება ამისთანა ფარდულების გაკეთებისა.

ძმ. არზუმანოვების საქმის გამო, რომლის გარემოებაც უკვე დაწვრილებით გვქონდა აღნიშნული, საბჭომ დაადგინა მიეცეს მათ მარტო ციციშვილის კლდეზედ ხალხის ასაყვან ჩამოსაყვანი მაშინის გამართვის უფლება 40 წლით, ისე რომ, ქალაქს ნება ჰქონდეს 20 წლის შემდეგ მისი გამოსყიდვისა; 3 თვის განმავლობაში ძმ. არზუმანოვებმა უნდა წარუდგინონ ქალაქის გამგეობას დაწვრილებითი პროექტი აღნიშნულ მაშინის გამართვისა; ბედ უნდა წარმოადგინონ 5,000 მან. დასასრულ, ორი უმნიშვნელო საქმის განხილვის შემდეგ, საბჭომ განიხილა ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიის შუამდგომლობა დაენიშნოს ქალაქის სასწავლებელთა ყოფილ გამგეს ნ. ბარხუდაროვს 600 მ. წელიწადში პენსიად. ბარხუდაროვს ამ თანამდებობაზედ უმსახურნია 17 წელიწადი და ჯამაგირი ყოველ წლობის 720 მან. ღებულობდა. ქალაქის გამგეობას საფინანსო კომისიასთან ერთად შესაძლებლად უცვნია ბარხუდაროვისათვის 600 მან. დანიშვნა და ამასთანავე დაუდგენია თუ ვინიცობაა სომეხთა სასულიერო სემინარია, სადაც მსახურობს ბარხუდაროვი, თავის მხრით დაუნიშნავს მას პენსიას, მაშინ ეს საკითხი ხელმეორედ განიხილონ. საბჭომ უხერხულად სცნო ასეთი პირობით პენსიის დანიშვნა და დაადგინა 27 ხმით, წინააღმდეგ 7 ხმისა, დაენიშნოს ბარხუდაროვს 17 წლის სამსახურისათვის წელიწადში 600 მან. პენსიად. სხდომა ღამის 11½ საათზე გათავდა.

# საღამოს დეპეშები

8 მაისი.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: „ვუბრძანებთ უსაყვარლესს ძმას ჩვენსას, მის იმპერატორებითს უდიდებულესობას ხელმწიფე მემკვიდრეს და დიდს მთავარს მიხეილ ალექსანდრეს ძეს იყოს სახელმწიფო საბჭოს წევრად“.

უმაღლესი გრამოტა სახელწიფო საბჭოს: „ნეტარ ხსენებულმა ალექსანდრე კურთხეულმა, რომელიც გამსჭვალული იყო სამშობლოსათვის ზრუნვით, მეფობის დაწყებისათანავე საგნად დაისახა იმპერიაში კანონიერის წეს-რიგის დამკვიდრება და ამისათვის 1801 წელს, 30 მარტს დააარსა განსაკუთრებული საბჭო, რომელსაც სახელად ეწოდა სახელმწიფო და რომლის წევრებად დაინიშნენ მეფის ნდობით შემოსილი პირნი. ბრძანებაში, რომელიც საბჭოს მიეცა 1801 წლის 5 აპრილს, აღნიშნულია მისი საგანი: დაამყაროს ძლიერება და კეთილდღეობა იმპერიისა კანონის შეურყეველ საფუძველზე. საბჭოს დაარსების დროს გადაწყდა, რომ მისი მკვიდრი მოწყობა მოხდება შემდეგში, რაც კიდევაც ასრულდა 1810 წელს გამოცემულის დებულებით. ნიკოლოოზ პირველმა 1842 წელს მიანიჭა საბჭოს ამ ჟამად მომქმედი წეს-რიგი, რომელშიაც დაცულ იქმნა წინანდელ წესის საერთო ხასიათი. მას შემდეგ განვლო თითქმის 60 წელიწადმა, და ეს დებულება აღარ შეეფერება საქმეთა ეხლანდელ პირობებს, რის გამო ჩვენ ვბრძანეთ გადასინჯულიყო სახელმწიფო საბჭოს დებულება იმ პირობით, რომ დაცულ იქმნან უმთავრესი მუხლები, რომელნიც შეეფერებიან რუსეთის სახელმწიფო წყობილებას; მხოლოდ დაემატოს დებულებას ზოგიერთი წესები საგანგებო და რთულ საქმეთა განსახილველად. ამ გვარად შედგენილი წესდება ჩვენ კეთილად ვცანით და დავამტკიცეთ. ვაძლევთ რა სახელმწიფო საბჭოს ამ ახალს დებულებას, ჩვენ განსაკუთრებულის მადლობით ვიხსენიებთ საბჭოს სახელოვანს წარსულს. განვლო ოთხმა მეფობამ; ამ დროის განმავლობაში სახელმწიფო საბჭო შეურყევლად ასრულებდა თავის მოვალეობას, ეხმარებოდა კანონმდებლებს მათს შრომაში. საბჭოს აზრებს, სახელმწიფო გამოცდილებით აღსავსეთ, ყურს უგდებდნენ გვირგვინოსანი წინაპარნი ჩვენნი—მარად სახსენებელი პაპა-ჩვენი და დაუვიწყარი მშობელი. მათის ნებით, რომელიც გამოიხატა კანონებში, განახლდა მთელი სახელმწიფო; ამ მოქმედებაში, რომელმაც აღამაღლა რუსეთი და განამტკიცა მოქალაქობრივი წეს-წყობილება, დიდი მონაწილეობა მიიღო საბჭომ, რასაც არ დაივიწყებს მომავალი თაობა. სამშობლოს სიყვარული, ღირსება, დაუღალავი მზრუნველობა ხალხის კეთილდღეობისათვის, ერთგულება სახელმწიფო წესწყობილებისადმი იყოს შემდეგშიაც სახელმძღვანელოდ საბჭოს მოღვაწეობისა“.

**კონსტანტინოპოლი.** ოსმალეთის ფოსტის უმთავრესმა დირექტორმა შეატყობინა უცხოელ სფოსტო დაწესებულებათ, რომ მოლაპარაკების დასრულებამდე ამ დაწესებულებათა კორესპონდენციას გაგზავნიან ხოლმე ისევ ოსმალეთის მოხელეები.

**კელნი.** ბერლინიდან იტყობინებიან, რომ კონსტანტინოპოლში აღძრული კითხვა ფოსტის შესახებ გარდაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს. სულთანმა ბრძანა, სრულიად აღადგინონ წინანდელი წესი და უბრძანა გარეშე საქმეთა მინისტრს, პირობა მისცეს ელჩებს, რომ ოსმალეთი ამიერიდან აღარ ჩაერევა ფოსტის საქმეებში.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. ლიბერალმა ფაულერმა წარუდგინა პალატას წინადადება, რომელიც ეწინააღმდეგება საფინანსო კანონ-პროექტს. „ბიუჯეტში,— ამბობს ის,— ომის ხარჯიც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, დეფიციტი არისო“. ორატორი უარჰყოფს მხედრობის გაძლიერებას, შაქარზე და ნახშირზე ბაჟის დადებას. ხაზინის კანცლერი წინააღმდეგობას უცხადებს ფაულერის იმ აზრს, ვითომც მხედრობას გაძლიერება არ უნდოდეს, რადგანაც ინგლისის საზღვრებს არავინ ემუქრება. „მაგრამ ეს შესაძლებელია, სთქვა მინისტრმა, და ინგლისი მზად უნდა იყოს; წინედ შიში უნდა ჰქონოდა მხოლოდ ერთი სახემწიფოსი, ეხლა კი ოთხი თუ ხუთი დიდი სახელმწიფო დაიბადა“. რაც შეეხება ხარჯების მომატებას, მინისტრის აზრით, ფლოტის ხარჯში ახალშენებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა.

**ბუფალო.** აქ გაიხსნა მთელი ამერიკის გამოფენა.

**ლონდონი.** კიტჩენერის დეპეშა პრეტორიიდან: „სხვა და სხვა რაზმების ცნობებით უკანასკნელ კვირებში მოკლულ იქმნა 19 ბური, დაჭრილ იქმნა 14, დატყვევებულ იქმნა 238, ხოლო 71 ბური თვით დამორჩილდა ინგლისელთ; ინგლისელებმა ხელთ იგდეს 212 თოფი, 105,000 პატრონა, 286 ფურგონი და მრავალი ცხენი“.

1-ლ მაისის ტირაჟი

სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის 5⁰/₀-ან მომგებიან ფურცლებლის მე-23 ტირაჟში ხუთას მანათიანი მოგებანი ხვდა შემდეგ ბილეთებს: *)

№№ ბილ. №№ სერიებისა.

1: 22822.
2: 5572, 5881, 7540, 11180, 12834, 12929.
3: 5491, 7214, 11500, 12113.
4: 1150, 3155, 10402, 10674.
5: 1523, 7929, 15843.
6: 3493, 9551, 11913, 14828.
7: 5707, 5886, 7839, 10669, 14674.
8: 2200, 12380, 12710.
9: 1485, 1579, 6864, 9969, 12149, 14354.
10: 2421, 7164, 7625, 13701.
11: 395, 3745, 8080, 12821, 13646.
12: 1993, 5210, 7676, 12212, 12225. 14973, 15151.
13: 2091, 5078, 9862, 14355, 15739.
14: 120, 1194, 4717, 5195, 8790, 9360, 11927, 13375.
15: 1275, 2816, 4734, 5025, 6706, 6959, 12579.
16: 1603, 2090, 4095, 7024, 8643, 12360.
17. 2861, 3225, 4304, 6929, 10041, 15634.
18: 785, 2859, 3632.
19: 3929, 4827, 13344, 13398, 15177.
20: 1368, 7019, 7551, 7771, 12197, 15935, 15940.
21: 839, 1174, 10058, 11648, 14784.
22: 2550, 6484, 6487.
23: 1553, 6700, 10151, 13217, 15349.
24: 70, 179, 6445, 15381.
25: 9787, 10730, 15075.
26: 57, 254, 935, 1219, 5459, 9261, 10982, 15903.
27: 1312, 3377, 3589, 8227, 10010, 13185, 14905, 15138, 15283.
28: 1637, 1647, 2271, 3365, 5381
29: 1564, [illegible] 668
13502, 15159.
30: 5562, 8074, 9037, 12860, 159
14762.
31: 4712, 8269, 15417.
32: 4861, 5880, 6443, 10437 158
33: 3511, 3610, 5115, 6409, 87
34: 1413, 6156, 13365, 14100.
35: 612, 1841, 4929, 8993.
36: 885, 6000, 10454, 10825, 138
15359, 15919.
37: 3021, 3362, 4421, 7424, 92
10399, 13318.
38: 2098, 10343, 11997, 121
12365.
39: 187, 6433, 6826, 6882, 86
14331.
40: 3540, 6344, 8568, 13309, 138
41: 272, 4920, 5103, 10754, 14458
42: 658, 9604, 15012.
43: 2592, 2896, 3195, 3309, 36
4236, 4524, 13523.
44: 7956, 7094, 8603, 12977.
45: 5446, 14975.
46: 1390, 1421, 1469, 1564, 261
3378, 6072, 9074, 14007, 1419
47: 1654, 2959, 3990, 6476, 7233.
48: 3825, 3988, 6970, 8092, 839
9900, 11034, 13136.
49: 1000, 1613, 13122.
50: 877, 990, 1551, 7498, 1001
10911, 15819.

მოგებათა მიღება შეიძლება პეტერბურ-
ში, ბანკში, 1901 წ. 1 აგვისტოდან.

გაბათილებულ იქმნა შემდეგი ბილეთებ
15171, 4839, 3848, 10257, 113, 176
12526, 11243, 15288, 583
11061, 5765, 15367, 12149, 111
15368, 5844, 5118, 6536, 8754, 132
5584, 2938, 5957, 1774, 10008, 205
11944, 9116, 3694, 10278, 364, 517
4846, 14202, 699, 2510, 11868, 1239
4817, 14735, 3067, 8410, 3135, 656
6592, 3724, 6255, 15844, 1022, 185
11150, 2779, 674, 15797, 14468, 87
11779, 495, 14879, 11927, 9152, 414
4650, 8546, 5504, 9702, 10976, 458
10918, 15262, 4770, 9418, 13556, 320
10197, 14784. 14032, 3193, 1101
4497, 2372, 4104, 15400, 5454, 249
11671, 11226, 9832, 4636, 2148, 1435
10743, 9802, 4613, 8644, 12317, 1444
12669, 14217, 15021, 6458, 6240, 1486
12250, 2916, 12225, 109, 4599, 341
15870, 6259, 3039, 12524. 5887, 462
15159, 6053, 651, 9559, 387, 1196
10656, 11030, 1635, 1096, 7894, 745
12165, 9246, 11881, 5501, 1437
12090, 4485, 14720, 8158, 1553
12802, 12295, 4851, 8278.

გაბათილებულ ბილეთში სახაზ. ბან
მისცემს 125 მან. 1-ლ აგვისტოდან

*) სხვა მოგებანი დაბეჭდილი იყო დეპეშებში (იხ. „ცნ. ფ.“-№ 1453.)

რედაქტორი ალ. ჭყონია.
გამომცემელი ალ. ჯაბადარ

# განცხადებანი

**მარგანეცის მრეწველთა კრების საბჭ**
ამით აცხადებს, რომ ამ წლის 11 მაის
შუადღის 12 საათზე, საბჭოს სადგომშ
ქ. ქუთაისში, მოხდება საჯარო ვაჭრობ
რომლით გაიცემა იჯარით სამის ხიდის გ
კეთება დაბა ჭიათურაში წირქვალის გზაზ
სამუშაოს ღირებულება ხარჯთ-აღრიცხვ
გამოანგარიშებულია 2648 მან. და 76

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს
ჭრობაში, ვაჭრობის დაწყებამე უნდა
რუდგინოს საბჭოს ბე ან ნაღდი ფულ
ან სარგებლიანის ქაღალდებით—10⁰/₀ ხ
ნებულის საიჯარო ფასისა. ვაჭრობის შ
დეგი საბჭომ უნდა დაამტკიცოს. ხარჯ
აღრიცხვისა, გეგმისა და დაწვრილებ
პირობათა განხილვა შეიძლება ყოველ-დ
საბჭოს სადგომში. (3—б.—2)